განკარგულება:**g-49. 49252062**
თარიღი:**25/07/2025**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,, ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-ს საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-482517735, 26/06/2025) წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-ს საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-ს საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ (დანართი თან ერთვის).

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი 1

ა(ა)იპ „ბავშთა ინკლუზიური ცენტრი"

	საშტატო ნუსხა	2025წელი	
№	თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეული	განაკვეთის ღირებულება
	სულ	19.0	
1	დირექტორი	1	2700
2	ბუღალტერი	1	1311
3	შესყიდვების მენეჯერი	1	1214
4	საქმის მწარმოებელი	1	972
5	სოც.მუშაკი	1	1045
6	პედაგოგი სპეც.განათლებით	1	1045
7	ხელოვნების პედაგოგი	1	1045
8	პროფესიული განვითარების სპეციალისტი	1	1045
9	ფსიქოლოგი	1	1045
10	მეტყველების სპეციალისტი	1	1045
11	პედაგოგის თამაშემწე	2	851
12	მზარეული	1	851
13	მზარეულის თანაშემწე	1	609
14	მებაღე	1	700
15	მძღოლი	1	1093
16	დამლაგებელი	1	730
17	დარაჯი	2	549